

### III თავი

#### ბსუ-ში სწავლის საფასური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3 და დანართი 29).

ბსუ-ში საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური, როგორც წესი, შეადგენს 2250 ლარს (აკადემიურ წელში ასათვისებელი 60 კრედიტის საფასური), ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 ლარს.

ბსუ-ში სწავლის საფასური აისახება სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც. ბსუ-ს სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება ან სოციალური დახმარება/გრანტი, ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი.

ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დგინდება ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის - სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის პერიოდი (2021-2022 სასწავლო წლისათვის იხილეთ ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ველში - „სწავლა“ და „აკადემიური კალენდარი“ გამოქვეყნებული იხილეთ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს N06-01/80 დადგენილება „ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ და ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 06 სექტემბრის N01-02/149 ბრძანება „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“).

ამავე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ-ნაწილ (ეტაპებად) გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა, რაც არ გამორიცხავს სტუდენტისათვის მთელი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური, თუკი შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილამდე პერიოდში).

ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ-ნაწილ (ეტაპებად) გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა, რაც არ გამორიცხავს სტუდენტისათვის მთელი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური, თუკი შეუჩერდება

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილამდე პერიოდში).

(შენიშვნა: ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები, რომელიც განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, იმავე ველში ველში („სწავლა“ და „აკადემიური კალენდარი“).